თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი 0194, საქართველო
+995 (32) 237 64 93; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-48142-21
19-07-2021

მოქალაქე აკაკი ბლიაძეს
Mail: bliadzeakaki@yahoo.com

ბატონო აკაკი,

თქვენი მიმდინარე წლის 5 ივლისის №02-13-48142-21 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, თ. ერისთავის ჩიხში მდებარე ნაკვეთზე (საკ.კოდი№01.12.08.036.162) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით გენგეგმის დამოწმებას, გიგზავნით ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა -1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში


1 2 3 4 5
660 660 680 630
2,630
720 720 720
2,880
A B C D
ჰიდრანტი
ჭუჭის ლარძი
611
454 454
ოთხწახნაგა ფრისტიფის ჩიხი
-0.45
-0.90
-0.15
-0.60
-0.30
-0.75
-0.00

08/07/21წ. № 1/19/640/ლ.ნ

ქ. თბილისი, თ. ერისთავის ჩიხი
მოქ: აკაკი ბლიაძეს
ტელ: 593 18 78 89
ელ. ფოსტა: bliadzeakaki@yahoo.com

მოგესალმებით ბატონო აკაკი,

თქვენი 30.06.2021 წლის წერილის პასუხად გიგზავნით, რომ თქვენს მიერ გამოგზავნილ მისამართებზე: ქ. თბილისი, ჩიხი თ. ერისთავი , ნაკვ 36/131 ს/კ 01.12.08.036.162 გადის შპს ,, ახალი ქსელები“-ს ხაზოვანი ნაგებობა იხ. ნახაზი.

შ.პ.ს „ახალი ქსელები” არ არის წინააღმდეგი სამუშაოების ჩატარების იმ პირობით, რომ სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვით.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ გამოიძახოთ ჩვენი წარმომადგენელი. სამუშაოების მსვლელობის დროს ჩვენი საკუთრების ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულება დაგეკისრებათ თქვენ, მიუხედავათ ბრალეულობისა.

11 00 00 ქოლ ცენტრი

დანართი: 1. ნახაზი 1 (ერთი) ცალი. (დანართი #1)
2.პროექტი დამოწმებული ბეჭდით (დანართი #2)

პატივისცემით,
დირექტორი /ი. ინჯია /

შეთანხმებულია
შპს "ახალ ქსელებთან"
სამუშაოების დაწყების წინ
გამოიძახეთ ჩვენი წარმომადგენელი

ახალი ქსელები

სარეგისტრაციო № 174

ტექ. სამსახური:

თარიღი: 07.07.21

მის: ა.პოლიტკოვსკაიას №42 ტელ: 11 00 00



ნახაზის დასახელება

გენ-გეგმა

შენიშვნა:

სქემატური ჭრილი

დამკვეთი:

შ.პ.ს "სხივი +"
ს/კ: 405081058

ობიექტის დასახელება:

საწყობი

ობიექტის მისამართი:

ქალაქი თბილისი, ჩიხი
თ. ერისთავი, ნაკვ. 36/131
(საკ/კოდი: №01.12.08.036.162)

დამპროექტებელი:

შ.პ.ს "ST.ART" ს/კ: 400022104
საქართველო, ქ. თბილისი,
აკ. წერეთლის გამზ. №115ა

თანამდებობა	ხელმოწერა	სახელი/გვარი
დირექტორი		ა. ბლიაძე
პრ. ავტორი		ა. სესიაშვილი
პრ. ავტორი		ა. ბლიაძე
შეამოწმა		გ. კაპანაძე

საავტორო უფლება: შ.პ.ს "ST.ART"

მასშტაბი: 1:500

ფორმატი: A3

ქ. თბილისი 2021 წ


011208036047
011208036159
011208036077
011208036077
011208036085
011208036004
011208036006
011208036140
011208036166
011208036038
011208036170
011208036208
011208036169
011208036161
011208036162
011208036116
011208036117
011208036163
011208036174
011208036221
011208036164
011208036042
011208036206
011208036205
011208036115
011208036093
011208036217
011208036227
011208036220
011208036137
011208037068
011208037069
011208033017
011208033018
011208033019
011208033020
011208033021
011208033012
011208033046
011208033056
011208033061
011208033064
011208033034
011208033001
292.999999
39.1
59.879201
მთლიანობა
ქ. თბილისი თ.ერისთავის ჩიხი ს/კ 01.12.08.036.162-ის მიმდებარედ
პირობითი აღნიშვნა
საკომუნიკაციო–არხი
საკომუნიკაციო–ჭა
საჰაერო
საკაბელო–ბოძი
საშუალედო–ბოძი
შ.პ.ს ახალი ქსელები
პოლიტკოვსკაიას № 42
ტელ. 11 00 00
მუშა ნახაზი სახაზო მეურნეობა
თარ: 12/25/2020
მასშტაბი: 1:1,000
საკანალიზაციო სქემა
ფურცლები 1
ფურცელი 1
სად. მენეჯერი მ. თოხაძე
კომპ. უზრ ლ. ნოზაძე
კომპ. უზრ ლ. ნოზაძე

შპს "მაგთიკომი"
№ ED-21/05/28-001
28-05-2021წ.

მაგთიკომი
MAGTICOM

შპს ,,სხივი +''-ის დირექტორს
ბატონ დათო ბოლქვაძეს

ბატონო დათო,

თქვენი 2021 წლის 25 მაისის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, თ. ერისთავის ჩიხი, ნაკვეთზე 36/131 საკადასტრო კოდით 01.12.08.036.161; 01.12.08.036.162 და 01.12.08.036.163 არ გადის შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და არ ვართ წინააღმდეგი შესრულდეს დაგეგმილი სამუშაოები.

შემსრულებელი: ლაშა ჭავჭანიძე. ტ 599 172727

პატივისცემით

მთავარი ადმინისტრაციული ოფიცერი

/ნოდარ ბაღათურია/

საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი “
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№84/21 „27“ ივლისი 2021 წ.

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თორნიკე ერისთავის ჩიხში (ნაკვეთი 36/131) დაპროექტებული სასაწყობე შენობის გავლენა ირგვლივ არსებული შენობებისათვის.

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თორნიკე ერისთავის ჩიხში №21-ში შ.პ.ს. „სხივი“-ს საკუთრებაში გააჩნია მიწის ნაკვეთი (ს/კ№01.12.08.036.162. 162 A=3677მ²). შ.პ.ს. „სხივი“-ს მიერ, დაგეგმილია სასწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობა. საპროექტო ობიექტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია შ.პ.ს.
„St Art” ის მიერ. პროექტის არქიტექტურული ნაწილის მიხედვით, შენობის სართულიანობა გათვალისწინებულია შემდეგნაირად:
- ერთი მიწისქვეშა სართული ნიშნულებში (±0.00)÷(-4.80მ.); სიმაღლით h=480სმ.
- ±0.00მ. ნიშნულს ზემოთ, სართულების რაოდენობა 4 სართულია პირველი სართული ნიშნულებში (±0.00)÷(+4.80მ.); სართულის სიმაღლით h=480სმ.
-მეორე სართული ნიშნულებში (+4.80)÷(+8.40მ.); სართულის სიმაღლით h=360სმ.
-მესამე სართული ნიშნულებში (+8.40)÷(+11.70მ.); სართულის სიმაღლით h=330სმ.
-მეოთხე სართული ნიშნულებში (+11.70)÷(+15.00მ.); სართულის სიმაღლით h=330სმ.
ბოლო სართულის გადახურვის ნიშნულია +15.00მ.
კორპუსის მზიდი კონსტრუქცია გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში. ±0.00მ. ნიშნული შეესაბამება გეოდეზიურ ნიშნულს 440.90მ. საძირკვლად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილა, სისქით 60სმ. ფილის ქვეშ პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით გათვალისწინებულია 10სმ. სისქისა და B7.5 კლასის მჭლე ბეტონით მომზადება; მის ქვეშ ღორღის ფენა, სისქით H=10სმ; ხოლო ღორღის ქვეშ, დატკეპნილი ბალასტი სისქით 150სმ. ყველა ამათი გათვალისწინებით, დასამუშავებელი ქვაბულის ძირის ნიშნული იქნება:

440.90-4.80-0.60-0.10-0.10-1.50=433.80მ.

საპროექტო შენობის მიერ, ირგვლივ არსებულ შენობა-ნაგებობებზე ტექნიკური ზეგავლენის შესწავლის მიზნით (იხ ფოტო 1), გამოკვლევა ჩატარდა არანაკლები 20მ. მანძილით დაცილებული სამშენებლო ობიექტებისათვის. მიწის ნაკვეთს, რომელზედაც დამუშავებულია შენობის პროექტი, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ნთავისუფალი მიწის ნაკვეთი ს/კ№01.12.08.036.166. შემდეგ ორი ნაკვეთი, საკადასტრო კოდებით შესაბამისად: ს/კ№01.12.08.036.140; ს/კ№01.12.08.036.006. პირველ მათგანზე განთავსებულია სამ სართულიანი შენობა გეგმითი გაბარიტული ზომებით L×B=16×15მ. მეორეზე ხუთ სართულიანი შენობა გეგმითი გაბარიტული ზომებით L×B=20×16მ. მანძილი საპროექტო შენობის „ა“ ღერძის გასწვრივ მდებარე კედლიდან წითელ (სასაზღვრო) ხაზამდე 3მ.-ია; ხოლო მანძილი საპროექტო შენობის აღნიშნული ღერძიდან პირველი საკადასტრო კოდით განსაზღვრულ არსებული შენობის ძირითად კედლამდე 11მ.

მანძილი საპროექტო შენობის „ა“ ღერძის გასწვრივ მდებარე კედლიდან წითელ (სასაზღვრო) ხაზამდე 3მ.-ია; ხოლო მანძილი საპროექტო შენობის აღნიშნული ღერძიდან მეორე საკადასტრო კოდით განსაზღვრულ არსებული შენობის ძირითად კედლამდე 11მ.

- დასავლეთიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.12.08.036.161; რომელზედაც განთავსებულია ორ სართულიანი შენობა გაბარიტული გეგმითი ზომებით L×B=55×22მ. (1(2) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო გეგმის მიხედვით); მანძილი საპროექტო შენობის „2“ ღერძის გასწვრივ მდებარე კედლიდან წითელ (სასაზღვრო) ხაზამდე 31.65მ.-ია; ხოლო მანძილი საპროექტო შენობის აღნიშნული ღერძიდან არსებული შენობის ძირითად კედლამდე 38.25მ.
- სამხრეთიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ნაკვეთები საკადასტრო კოდებით №01.12.08.036.161 (მისი თავისუფალი ნაწილი); ს/კ№01.12.08.036.164 რომელიც ასევე თავისუფალია. ს/კ№01.12.08.036.163 თავისუფალი ტერიტორია; ს/კ№01.12.08.036.042 ორ სართულიანი შენობა გაბარიტული ზომებით L×B=43×16მ. მანძილი საპროექტო შენობის „ე“ ღერძის გასწვრივ მდებარე კედლიდან წითელ (სასაზღვრო) ხაზამდე 27.70მ.-ია; ხოლო მანძილი საპროექტო შენობის აღნიშნული ღერძიდან საკადასტრო კოდით განსაზღვრულ არსებული შენობის ძირითად კედლამდე 38.7მ.
- აღმოსავლეთიდან საპროექტო ნაკვეთს ესაზღვრება ერისთავის ჩიხი სიგანით 7მ.



ფოტო 1. “შ.პ.ს. სხივი”-ს მიწის ნაკვეთი ს/კ01.12.08.036.162

როგორც საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიებიდან და წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, საპროექტო შენობის დაფუძნება განხორციელდება ხელოვნურად გაუმჯობესებულ გრუნტზე, საიდანაც ნაგებობისმიერი ძაბვები გადაეცემა ფენა 2-ზე. ნახევრად მყარ თიხნარზე (I_L=0.18). მისი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

სიმკვრივე	ρ=1.88ტ/მ^3.
ხვედრითი შეჭიდულობა	c = 0.15კგძ/სმ^2
შიგა ხახუნის კუთხე	φ = 18^0
დეფორმაციის მოდული	E =140კგძ/სმ^2
პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0=2.0კგძ/სმ^2

ფენის სიმძლავრე 7.5-9.0მ.-ია.

დასკვნა.

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თორნიკე ერისთავის ჩიხში №21-ში შ.პ.ს. „სხივი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.12.08.036.162). შ.პ.ს. „St Art” ის მიერ დამუშავებული პროექტის მიხედვით, შენობის მშენებლობა შესაძლებელია.

საპროექტო შენობის საძირკვლების მოსაწყობად საჭირო ქვაბულის სიღრმის (210სმ.), საინჟინრო-გეოლოგიით განსაზღვრული გრუნტების ფენების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებისა და ირგვლივმდებარე შენობა-ნაგებობებამდე მანძილების გათვალისწინებვით, გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოები მთლიანად უზრუნველყოფს ირგვლივ მდებარე შენობების უსაფრთხო არსებობას როგორც მშენებლობის, ასევე მისი ექსპლოატაციის პერიოდში.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

KA020180320865218

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭოველიძის ქ. №10ა (ყოფილი ზელინსკი)
10a, Chovelidze str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 11/1557

26 / თებერვალი / **2018 წ.**

ბ-ნ მიხეილ საველიძეს (პ/ნ 01011042590)
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი კორპუსი
№36„3", ბინა №12

ბატონ მიხეილ,

თქვენს 2018 წლის 23 თებერვალის განცხადებაზე პასუხად გაცნობებთ, რომ ბ-ნი მიხეილ საველიძე (პ/ნ 01011042590) სამინისტროს მიერ შეთანხმებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების არსებული შენობა-ნაგებობის საექსპერტო შეფასების განსახორციელებლად.

პატივისცემით,

სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო
პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნინო გვენცაძე

საქართველო, ქ. თბილისი
S.p.s. „monoliTi“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

პირადი მონაცემები (CV).

მე მალხაზ (მიხეილ) ივანეს ძე საველიძე დავიბადე ქალაქ ბათუმში 1962 წლის 22 ნოემბერს. 1966 წლიდან ვცხოვრობ ქალაქ თბილისში. 1979 წელს დავამთავრე ქ. თბილისის №77-ე საშუალო სკოლა. 1980წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სპი) სატრანსპორტო ფაკულტეტზე სპეციალობით ხიდები და გვირაბები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1985 წელს განაწილებით მოვხვდი საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტი“-ს (ამჟამად ამ შენობაში განთავსებულია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო) პირველ არქიტექტურულ-სამშენებლო განყოფილებაში. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში (1985-1987 წლის სექტემბერი) მონაწილეობა მივიღე მრავალი სამრეწველო შენობის დაპროექტებაში. 1987წლის სექტემბრიდან 2005წლამდე ვმუშაობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის სამეცნიერო ინსტიტუტში, გამოყენებითი დრეკადობის თეორიის განყოფილებაში. ინსტიტუტში მუშაობის წლებში გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო სტატიები გარსული ტიპის გადახურვებში 1990 წელს დავაფუძნე საპროექტო ორგანიზაცია, კოოპერატივი „ხუროთმოძღვარი“ სადაც ვმუშაბდი მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია იწოდება შ.პ.ს. ”მონოლითი”, სადაც დღემდე ვმუშაობ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. ორგანიზაციის ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ისნის რაიონი, გელათის ქუჩა №7 (საპრეზიდენტო რეზიდენციასთან ახლოს) ტელეფონი: 277-45-84.

განვლილი წლების განმავლობაში შ.პ.ს. ”მონოლითი”-ში ჩემი ხელმძღვნელობით დაპროექტებული და აშენებულია მრავალი სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების მქონე (სამრეწველო, სამოქალაქო, საზოგადოებრივი და ხელოვნური) ობიექტები, როგორც ქალაქ თბილისის, ისე საქართველოს დანარჩენ რეგიონებში და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მოვიყვანთ შესრულებული სამუშაოების მცირე ჩამონათვალს:

- ალუმინის მეორადი გადამუშავების ქარხნის რეკონსტრუქცია ქ. რუსთავში. 1987 წ.
- ქ. რუსთავის ცენტრალური კინოთეატრის რეკონსტრუქცია. 2000 წ.

- მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები ქ. თბილისში (დამკვეთები: შ.პ.ს. ”ცენტრ-პოინტი”; შ.პ.ს. ”საბა+”; შ.პ.ს. ”მოდული”; შ.პ.ს. ”D+”). 1997-2008 წწ.
- საინვესტიციო ჯგუფი ”ტიფლისი”.
- მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობები ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქობულეთში.
- მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი ქ. თბილისში, ცაბაძის ქ. №8-ში. (საქართველო-ისრაელის ერთობლივი პროექტი). 2008 წ.
- კოჭური ხიდი ქ. თბილისის ბოტანიკურ ბაღში. 1995-1996 წწ.
- საყრდენი კედელი ქ. თბილისში. (მოსკოვის ქუჩა; ტაბიძის ქუჩა) 1997 წ. 2001 წ.
- სპორტის სასახლე ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე. 2007 წ.
- რკინიგზის სადგური ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2007 წ.
- საზკვების კომპლექსები ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე. ”წისქვილი”; ”თაღლაურა”; ”ლაკადა”
- ქ. ფოთის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი.
- სასტუმრო ქ. ქუთაისში. (რუსთაველის ქ. №5-ში). 2008 წ.
- ანგარი ავიაკომპანია ”აირზენა”-სათვის ბოინგი 737/500 ტიპის თვითმფრინავების დასაყენებლად. 2001 წ.
- ნავთობპროდუქტების შესანახი ბაზა ავიაკომპანია ”აირზენა”-ს საჭიროებისათვის ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2002 წ.
- ავიაკომპანია ”აირზენა”-ს თვითმფრინავების მგზავრთა კვებისა და მომსახურებისათვის საჭირო შენობა ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2002 წ.
- ღვინის ქარხნები, ყვარელში, სოფ. აკურაში, წინანდალში. 1998-2002 წწ.
- საცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №78.
- ”ცენტრ-პოინტი”-ს აცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე.
- ყინულის საციგურაო მოედნის კომპლექსის (საბურთალო) რეკონსტრუქცია.
- ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, ყვარელში. 2009 წ.
- ქართული კულტურის ცენტრის შენობა ქ. ბაქოში.
- მრავალფუნქციული კომპლექსი ქ. დნეპროპეტროვსკში 2009 წ.
- მუსტაფა ქემალ ათათურქის ქანდაკების კონსტრუქცია (სიმაღლით 29მ.) თურქეთში, ქალაქ ართვინში
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
- ძაღლსაშენი კომპლექსი მაკედონიაში, ქ. სკოპლე.

- ქ. თბილისის ძველი უბნების დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გაძლიერება.
- ყოფილი ”ბერიკონი”-ს შენობა ”მშვიდობის” ხიდთან (კაზინო ”შანგრილა”) 2011 წ.

ცალკე აღსანიშნავია სავარიული ნაგებობების აღდგენა-გამაგრებითი საპროექტო სამუშაოები.

ქ. თბილისში დაზიანებული საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ბაგა-ბაღები, საავადმყოფოები, სპორტული, ისტორიული მნიშვნელობის შენობები; რომელთა კვლევის და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ, აქტიური საავტორო ზედამხედველობის პირობებში შესაძლებელი გახდა მრავალი ნაგებობის გადარჩენა და შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაცია.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე. 599156649/

დიპლომი

КВ № 153475

ეს დიპლომი მიეცა საველიძე
მიხეილ ივანეს ძე საველიძის
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1985წელს დაამთავრა
სრული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ხიდები და
გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
„29" ივნისის გადაწყვეტილებით
ქ.ი.საველიძეს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986წ. „31" XII

სარეგისტრაციო № 4810

Грузинский яз.

ДИПЛОМ

КВ № 153475

Настоящий диплом выдан Савелидзе
Михаилу Ивановичу
в том, что он в 1980 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1985 году окончил полный курс
названного
института
по специальности мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „29" июня 1985 г.
Савелидзе М.И.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Ректор

М. П.

Город Тбилиси „31" XII 1986 г.

Регистрационный № 4810

Московская типография Гознака. 1982.





მობილური ტელეფონი: 599. 15-66-49.